სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 თებერვალი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/22

ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის,, 29^3 -ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8, 24^4-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №07 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის" დებულების, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/15 გადაწყვეტილების, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2026 წლის 09 თებერვლის სხდომის დადგენილების (№29-05/2) და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის 2026 წლის 09 თებერვლის №143172 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. **2026 წლის 12 თებერვალს** გამოცხადდეს ღია კონკურსი ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად.

2. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა 5 წლის ვადით შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ინსტიტუტის **მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს** (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის" შესაბამისად) **და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება.**

3. დირექტორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით **კონკურსანტმა/კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;

გ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით (განსაზღვრულია ინსტიტუტის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით) **არანაკლებ 6 წლის** შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა სამუშაო ადგილიდან/შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი/ საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი ან/და სხვა მტკიცებულება);

ე) ანკეტა, შევსებული წინამდებარე **დადგენილების №1 დანართის (ფორმის)** შესაბამისად (ანკეტაში აღნიშნული დოკუმენტაცია კონკურსანტმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან ერთად;

ვ) **სამოქმედო გეგმა;**

ზ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის **ნასამართლობის შესახებ ცნობა** (ცნობის მისაღებად ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე: https://www.sa.gov.ge/p/sqesobrividanashauli).

4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №14), **2026 წლის 02 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით,** უქმე დღეების გარდა, 11:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე.

5. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის **სამეცნიერო საბჭოს მიერ** დირექტორის კანდიდატურის შერჩევა **(ფარული კენჭისყრა) ჩატარდეს 2026 წლის 11 მარტს,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამუშაო ოთახში (კენჭისყრა დაიწყება 15:00 საათზე და დამთავრდება 16:00 საათზე).

6. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურის დამტკიცების საკითხი ბსუ-ს **აკადემიური საბჭოს მიერ განხილული იქნეს 2026 წლის 13 მარტის სხდომაზე** (აკადემიური საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს სხდომის ჩატარების ზუსტი დროის შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებას).

7. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურის ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2026 წლის 13 მარტის სხდომაზე დამტკიცების შემთხვევაში, მასთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება **2026 წლის 16 მარტიდან 5 წლის ვადით** (ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 თებერვლის N01-02/30 ბრძანების №1 დანართის შესაბამისად - „ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებულთან“ გასაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ფორმა).

8. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს საარჩევნო დებულებითა და შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

9. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახების **შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს განცხადება** (წინამდებარე დადგენილების **№2 დანართი)** განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, კონკურსების ველში.

10. რექტორის ბრძანებით დამტკიცდეს კანდიდატის საკონკურსო განცხადების (ანკეტის) და თანდართული დოკუმენტაცის მიღების დამადასტურებელი ცნობის და სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმები, ასევე სხვა ფორმები (წინამდებარე დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის, კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად ჩატარების მიზნით).

11. წინამდებარე დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით კონკურსანტმა/კანდიდატმა 2026 წლის 25 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით ვადაში ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურში წარადგინოს ამ დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო განაცხადის (ანკეტაში) კონკურსანტის მიერ აღნიშნული ნაშრომის/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაცია, შევსებული **ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული** დანართის შესაბამისად.

12. ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურმა (რექტორის მოადგილესთან სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) უზრუნველყოს 2026 წლის 25 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით ვადაში კონკურსანტის მიერ, ამ დადგენილების მე-11 პუნქტში აღნიშნული (რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შევსებული) ინფორმაციის დადასტურება (ხელმოწერა).

13. ბსუ-ს რექტორმა გამოსცეს სამართლებრივი აქტები, წინამდებარე დადგენილების მოთხოვნათა აღსრულების მიზნით.

14. დადგენილება **განთავსდეს** ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

15. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის საინფორმაციო დაფებზე.

16. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ.ქათამაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, აკადემიური საბჭოს სამდივნოს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

17. წინამდებარე დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

18. დადგენილება ძალაში შედის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ტიტე არუშიძე

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის
12 თებერვლის N06-01/22 დადგენილების

დანართი N1

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების **ინსტიტუტის დირექტორის** შესარჩევი ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტის **საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ფორმა**

1. საკონკურსო განაცხადში (ანკეტა) **კონკურსანტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია,** მათ შორის:

1.1. კონკურსანტის პირადი ინფორმაცია: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, ბოლო სამსახურებრივი პოზიცია;

სახელი	
გვერი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია	

1.2. **საკონკურსო პოზიცია** (ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის **ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის** (შემდეგში - ინსტიტუტის), ამ ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასახელების მითითებით:

სამეცნიერო თანამდებობა, რომლისათვის წარდგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს კონკურსანტი	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **(უვადო)**	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (**5 წლის ვადით)**
	☐	☐

1.3. **განაცხადი და თანხმობა ბსუ-ს შემდეგი რეგულაციების გაცნობაზე:**

- ბსუ-ს <u>პერსონალის მართვის პოლიტიკა</u> (წარმომ. საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/41, 08.09.2023წ.) - ☐
- ბსუ-ს <u>ეთიკის კოდექსი</u> (წარმომ. საბჭოს გადაწყვეტილება N02, 27.07.2017წ.) - ☐
- ბსუ-ს <u>შინაგანაწესი</u> (წარმომ.საბჭოს გადაწყვეტილება N02, 09.09.2011წ.) - ☐
- ბსუ-ს <u>სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესი</u> - (წარმომ.საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/15, 12.02.2024წ.) - ☐
- ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (N01-02/75, 05.06.2024წ.)- ☐

1.4. **პერსონალური მონაცემების დამუშავება და თანხმობის განაცხადი**

☐ ,,პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თქვენი თანხმობით ადასტურებთ, რომ ინფორმირებული ხართ წინამდებარე **საკონკურსო განაცხადში აღნიშნული და წარმოდგენილი**

პერსონალური მონაცემების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის** (შემდეგში - ბსუ; მისამართი: საქართველო, ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35) **მიერ დამუშავება განხორციელდება:**

ა) ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - <u>ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის შესარჩევი ღია კონკურსის მიზნებისათვის;</u>

ბ) კონკურსის შედეგების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ან ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის/სამსახურში მიღების შესახებ საუნივერსტეტო რეგულაციებით გათვალისწინებული პროცედურების/საქმიანობის/ვალდებულებების განხორციელების მიზნით.

(**შენიშვნა:** თქვენს პერსონალურ მონაცემებს ბსუ შეინახავს და დაამუშავებს წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მიზნებისთვის, იმ ხანგრძლივობით, რაც საჭიროა ამ დოკუმენტში მითითებული საქმიანობის შესასრულებლად ან დაამუშავებს კანონმდებლობით დაშვებული ვადით (მაგალითად, შესაძლოა შევინახოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, თუ ეს აუცილებელია ვალდებულების/სამართლებრივი მოთხოვნის შესასრულებლად, დავის/სასამართლო პროცესის მიზნებისათვის).”

2. **ინფორმაციის I ჯგუფი - განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება**	
ა) განათლება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა; დასრულების წელი; მიღებული კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი.	
ბ) დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - დისერტაციის თემა; მინიჭებული კვალიფიკაცია; დისერტაციის დაცვის თარიღი.	
გ) სამსახურებრივი გამოცდილება - დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა; მუშაობის დაწყებისა და დასრულების თარიღები;	
დ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები - თარიღი; კურსების/ტრენინგების დასახელება; დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი.	
დამატებითი ინფორმაცია (კონკურსანტის შეხედულებით)	
3. **ინფორმაციის II ჯგუფი - სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა:**	
ა) სამეცნიერო ნაშრომები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - სამეცნიერო ნაშრომის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი, გვერდები; სტატუსი (დაბეჭდილი/დასაბეჭდად მიღებული); ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი.	

ბ) სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (არაუმეტეს ხუთი) - სამეცნიერო ნაშრომის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი, გვერდები; სტატუსი (დაბეჭდილი/დასაბეჭდად მიღებული); ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი.	
გ) მონოგრაფია (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - მონოგრაფიის სათაური; გამომცემლობა, ISBN, გვერდების რაოდენობა; ინდექსირება სამეცნიერო ბაზებში; გამოყენებული სტატია; გამოცემის თარიღი; თანაავტორ(ებ)ი;	
დ) გამოგონება/პატენტი (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - რეგისტრაციის თარიღი; გამოგონება/პატენტის სათაური; საპატენტო ორგანიზაცია.	
ე) სამეცნიერო ღონისძიება (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - მოხსენების სათაური; ღონისძიების დასახელება; ღონისძიების ორგანიზატორი, ჩატარების ადგილი; აბსტრაქტების/გამოცემების ინდექსირება; ჩატარების თარიღი; თანაავტორ(ებ)ი	
ვ) მიმდინარე/დასრულებული საგრანტო პროექტები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - საგრანტო პროექტის სათაური; ჩართული ძირითადი პერსონალი; სტატუსი პროექტში; დამფინანსებელი ორგანიზაცია; დაწყება-დასრულების თარიღი; პროექტის ტიპი (საერთაშორისო/ეროვნული/ ბსუ-ს შიდა მიზნობრივი/); პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია.	
ზ) წარდგენილი საგრანტო პროექტები (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - საგრანტო პროექტის სათაური; ჩართული ძირითადი პერსონალი; სტატუსი პროექტში; დამფინანსებელი ორგანიზაცია; თარიღი; პროექტის ტიპი (საერთაშორისო/ეროვნული/ბსუ-ს შიდა მიზნობრივი/); მიღებული მაქსიმალური შეფასება;	
თ) თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა,	

სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.) - თანამშრომლობის ფორმა; უნივერსიტეტის/სამეცნიერო ცენტრის დასახელება; დაწყებისა და დასრულების თარიღი;	
ი) **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი** ერთი (ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული) ნაშრომი - პუბლიკაციის სახეობა; პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი; გამოქვეყნების წელი.	
კ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია	
4. **ინფორმაციის III ჯგუფი - სხვა სახის აქტივობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)**	
ა) სტუდენტთა ხელმძღვანელობა - მაგისტრანტების, დოქტორანტების ნაშრომები; საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომები;	
ბ) აქტივობის დასახელება - ჯილდო, სტიპენდია, უცხო ენების ცოდნა და სხვა პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობა.	
ანკეტაში აღნიშნული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (ფურცლების რაონოდების მითითებით)	**1.** --------- **2.** ---------- **3.** -------- **4.** ------ **.....**
წინამდებარე ანკეტის შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
კონკურსანტის ხელმოწერა	

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის
12 თებერვლის N06-01/22 დადგენილების
დანართი N2

ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადებისა შესახებ ინფორმაცია

1. **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით** (№06-01/22, 12.02.2026 წ.) **გამოცხადდა** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - **„ბსუ“) ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის შესარჩევი ღია კონკურსი.**

2. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა 5 წლის ვადით შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ინსტიტუტის **მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს** (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად) **და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება.**

3. დირექტორის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით **კონკურსანტმა/კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;

გ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით (განსაზღვრულია ინსტიტუტის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით) **არანაკლებ 6 წლის** შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (ცნობა სამუშაო ადგილიდან/შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი/ საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი ან/და სხვა მტკიცებულება);

ე) ანკეტა, შევსებული კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №06-01/22 **დადგენილების N1 დანართის (ფორმის)** შესაბამისად (ანკეტაში აღნიშნული დოკუმენტაცია კონკურსანტმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან ერთად;

ვ) სამოქმედო გეგმა;

ზ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის **ნასამართლობის შესახებ ცნობა** (ცნობის მისაღებად ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე: https://www.sa.gov.ge/p/sqesobrividanashauli).

(შენიშვნა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება). საკონკურსო დოკუმენტაციის

ელექტრონულად წარდგენის დღისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).

4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №14), **2026 წლის 02 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით,** უქმე დღეების გარდა, 11:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე.

5. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დირექტორის კანდიდატურის შერჩევა **(ფარული კენჭისყრა) ჩატარდეს 2026 წლის 11 მარტს,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამუშაო ოთახში (კენჭისყრა დაიწყება 15:00 საათზე და დამთავრდება 16:00 საათზე).

6. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურის დამტკიცების საკითხი ბსუ-ს **აკადემიური საბჭოს მიერ განხილული იქნეს 2026 წლის 13 მარტის სხდომაზე** (აკადემიური საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს სხდომის ჩატარების ზუსტი დროის შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებას).

7. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურის ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2026 წლის 13 მარტის სხდომაზე დამტკიცების შემთხვევაში, მასთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება **2026 წლის 16 მარტიდან 5 წლის ვადით** (ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 თებერვლის N01-02/30 ბრძანების №1 დანართის შესაბამისად - ,,ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებულთან“ გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა).

8. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ საკონკურსო განაცხადი (ანკეტა) სრულად უნდა შეივსოს **და თან უნდა დაერთოს საკონკურსო განაცხადში (**ანკეტაში) ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი, უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. **ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის- www.bsu.edu.ge** კონკურსების ველის მეშვეობით საკონკურსო განცხადებასთან (ანკეტა) ერთად კონკურსანტებისათვის **ხელმისაწვდომია გასაცნობად შემდეგი სამართლებრივი აქტები**: ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესი“; ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია; ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, ბსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობის პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა. ბსუ-ს რეგულაციების სრულად ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდის ველიდან ,,იურიდიული ცნობარი“ - https://bsu.edu.ge/sub-26/page/2-307/index.html .